# ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

## 2025 წლის 1 იანვარი - 30 სექტემბრის მდგომარეობით

**შსს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ – (30 08)**
(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
**თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: **საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება (30 08)**

პროგრამის განმახორციელებელი - **შსს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“**

ათას ლარებში

| პროგრამული კოდი | დასახელება | წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა | წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა | საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება | საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში | საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | **26 638, 7** |

## საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

### გადაუდებელი დახმარების ერთიანი სატელეფონო ნომერი „112“

2025 წლის 1 იანვარი - 30 სექტემბრის ჩათვლით სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატორებმა **2 881 724** ზარს უპასუხეს. მიღებული ზარები დამუშავდა და საჭიროებისამებრ გადაეცა შესაბამის მომიჯნავე სამსახურებს.

### საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის სასწავლო ცენტრი

საანგარიშო პერიოდში სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის სასწავლო ცენტრის მიერ ჯამში გადამზადდა - **369** პირი.

- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - „112“-ში მისაღებ კანდიდატთა საბაზისო ტრენინგი – 28 მონაწილე;
- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომელთა ,,კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგი“ – 40 მონაწილე;
- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის თანამშრომელთათვის ტრენინგი ,,საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი, დისციპლინური წესდება და შრომის შინაგანაწესი“ - 29 მონაწილე;
- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომელთა ტრენინგი ,,პირველადი სამედიცინო გადაუდებელი დახმარების შემსწავლელი კურსი“ – 111 მონაწილე;
- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის თანამშრომელთა გადამზადება ,,სტრესისა და ემოციების მართვის” მიმართულებით - 29 მონაწილე;
- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომელთა ტრენინგი ,,ზარის მართვა“ – 9 მონაწილე;

- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომელთა ტრენინგი „საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულები და ტერიტორიული მოწყობა“ - 9 მონაწილე;
- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომელთა ტრენინგი „სუიციდის პრევენცია და კრიზისული ზარის მართვა“ – 17 მონაწილე;
- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომელთათვის ,,ოპერატორების მენტორებად გადამზადების ტრენინგი“ – 15 მონაწილე;
- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის თანამშრომელთა ტრენინგი ,, ეფექტური კომუნიკაცია/სერვის პლიუსი“ – 12 მონაწილე;
- ✓ შსს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მოქალაქეთა საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლეთა ტრენინგი ,,ეფექტური კომუნიკაციის როლი მომსახურების სფეროში“ – 12 მონაწილე;
- ✓ შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო-სამორიგეო განყოფილების თანამშრომელთა ტრენინგი ,,ეფექტური კომუნიკაციის როლი მომსახურების სფეროში“ – 8 მონაწილე;
- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლების (ოჯახის ექიმები) ტრენინგი ,,ERC კლიენტის ფუნქციონალი და მისი გამოყენება სამუშაო პროცესში“– 50 მონაწილე.

**ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის განვითარება**

საანგარიშო პერიოდში, ქვეყნის მასშტაბით დამონტაჟდა - **305** ზოგადი ხედვის ვიდეოკამერა და **49** ნომრის ამომცნობი ე.წ. „ჭკვიანი“ ვიდეოკამერა; ამოქმედდა **29** სიჩქარის კონტროლის სექცია, რომელიც ფარავს **90,45**კმ-ს. ჯამურად, ქვეყნის მასშტაბით დამონტაჟებულია - **8688** ვიდეოკამერა, საიდანაც, **6210** არის ზოგადი ხედვის, ხოლო, **2478** ნომრის ამომცნობი ე.წ. „ჭკვიანი“ ვიდეოკამერა; ქვეყნის მასშტაბით ამოქმედებულია - **649** სიჩქარის კონტროლის სექცია, რომელიც ფარავს **2247,72**კმ-ს;

## ელექტრონული მონიტორინგის სისტემა

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ელექტრონული ზედამხედველობა დაუწესდა - **34** მოძალადეს, ხოლო სასამართლოს მიერ ელექტრონული ზედამხედველობა დაკანონდა - **29** შემთხვევაში.

## კერძო დაცვითი საქმიანობა

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის მიერ „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გაიცა **2 (ორი)** კერძო დაცვითი საქმიანობის ლიცენზია.

## ინფრასტრუქტურული პროექტები

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ, მიმდინარეობს დამატებითი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა.